

სატრანსპორტო საშუალების იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

----- 2019წ.

ერთის მხრივ, ----- შემდგომში “**მეიჯარე**” და მეორეს მხრივ, შპს ლუკოილ-ჯორჯია (ს/კ 204976302) წარმოდგენილი დირექტორის გოშგარ მაჰმუდოვის სახით შემდგომში “**მოიჯარე**”, შემდგომში ერთად წოდებულნი როგორც “**მხარეები**”, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 **მეიჯარე** გადასცემს **მოიჯარეს**, ხოლო **მოიჯარე** იღებს დროებით სარგებლობაში სატრანსპორტო საშუალებას შემდეგი მონაცემებით:

- (სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ტექნიკური მონაცემები)

2. იჯარის მიზანი

2.1. იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალება **მოიჯარის** მიერ გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების მიზნით;

3. იჯარის ვადა

3.1. იჯარის ვადაა განისაზღვრება ერთი წლით;

საიჯარო პერიოდი მოიცავს: 2019 წლის -----დან 2019 წლის ----- ჩათვლით პერიოდს.

3.2. სატრანსპორტო საშუალება მიეწოდება **მოიჯარეს** მისამართზე:

ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია

და ექვემდებარება უკან დაბრუნებას **მეიჯარისათვის** მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საიჯარო პერიოდის ბოლო დღის **12:00 საათისთვის**.

3.3. **მეიჯარის** მიერ **მოიჯარისათვის** იჯარის საგნის გადაცემა, ასევე **მოიჯარის** მიერ **მეიჯარესათვის** იჯარის საგნის უკან დაბრუნება, ზუსტი თარიღისა და დროის, ასევე სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობის მითითებით უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით.

3.4. მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის იჯარის საგნის გადაცემისას და მოიჯარის მიერ მეიჯარესათვის იჯარის საგნის უკან დაბრუნებისას უნდა მოხდეს მისი ვიზუალური დათვალიერება, ასევე იჯარის საგნის შესაბამისი დასურათება (ფოტო გადაღება), როგორც სატრანსპორტო საშუალების შიგნით, ასევე გარეთ, რასაც ენიჭება მტკიცებულებითი მნიშვნელობა და ძალა რაც წარმოადგენს სასამართლოში წარსადგენ სათანადო მტკიცებულებას.

4. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

4.1 ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს ---- ლარს დღე-ს ჩათვლით

4.2. საიჯარო ქირა გადაიხდება უნაღლო ანგარიშსწორების წესით;

5. მეიჯარის უფლებები და მოვალეობები

5.1. მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას:

5.1.1 მოიჯარის მიერ მეიჯარესათვის საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, გადასცემს იჯარის საგანს მოიჯარეს გამართულ მდგომარეობაში, ყველა აუცილებელი დოკუმენტით;

5.1.2 უკან დაიბრუნოს და მიიღოს იჯარის საგანი ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული პირობებით.

5.1.3 უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული – „ტექნიკური დავალების“ შესრულება რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

(დანართი 1).

5.1.4 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

5.2 მეიჯარე უფლებამოსილია:

5.2.1 შეამოწმოს იჯარის საგნის ტექნიკური მდგომარეობა და ექსპლუატაციის წესების დაცვა.

5.2.2 მოსთხოვოს მოიჯარეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის დროულად გადახდა;

5.2.3 იჯარის ვადის გასვლისთანავე მოითხოვოს იჯარის საგნის დაუყონებლივ უკან დაბრუნება;

5.2.4 იჯარის ვადის გასვლამდეც მოსთხოვოს მოიჯარეს იჯარის საგნის უკან დაბრუნება, თუ მოიჯარე არღვევს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს (მაგ: აზიანებს იჯარის საგანს, არ იცავს იჯარის საგნით გადაადგილების ტერიტორიულ ფარგლებს, საგზაო მოძრაობის წესებს და ა.შ.)

5.2.5 მოსთხოვოს მოიჯარეს ხელშეკრულების პირობების და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

6. მოიჯარის უფლებები და მოვალეობები

6.1. მოიჯარე კისრულობს ვალდებულებას:

6.1.1 იჯარის საგანი გამოიყენოს მისი დანიშნულების შესაბამისად, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის და დაიცვას იჯარის საგნის გამოყენების ტერიტორიული შეზღუდვები.

6.1.2 დროულად, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადაიხადოს საიჯარო ქირა;

6.1.3 მთლიანი საიჯარო პერიოდის განმავლობაში და მეიჯარის მიერ იჯარის საგნის გადაცემამდე შეინარჩუნოს სატრანსპორტო საშუალების ნორმალური და გამართული მდგომარეობა, უზრუნველყოს მისი სათანადო მოვლა-პატრონობა;

6.1.4 იჯარის საგნის გამოყენებისას (მართვისას) ზედმიწევნით დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები (მაგ: არ გადააჭარბოს დადგენილ სიჩქარეს, არ გადაკვეთოს ღერძულა ხაზი, დაემორჩილოს საგზაო ნიშნებს, მანქანის გაჩერება მოახდინოს ამისათვის სათანადო ადგილას და ა.შ.)

6.1.5 ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომისას, ასევე აღნიშნულის შედეგად და სხვა ნებისმიერი გარემოებების გამო იჯარის საგნის დაზიანებისას, ასევე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ შეატყობინოს ამის შესახებ საპატრულო პოლიციას, მეიჯარეს და სადაზღვევო კომპანიას, აცნობოს მეიჯარეს გადაუდებელი სარემონტო ან სხვა რაიმე სამუშაოს ჩატარების აუცილებლობის შესახებ;

6.1.6 საიჯარო პერიოდის განმავლობაში იჯარის საგნის განადგურების, გატაცების, ქურდობის, ძარცვის და ა.შ. შემთხვევაში სრულად აუნაზღაუროს მოიჯარეს იჯარის საგნის ღირებულება.

6.1.7 საიჯარო პერიოდის განმავლობაში და ასევე მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის იჯარის საგნის გადაცემამდე ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე შესაბამისი ორგანოების მიერ დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სრულად.

6.1.8 მოიჯარეს ეკისრება პასუხისმგებლობა და უფლება არ აქვს მძღოლის უმეტესწილად დატოვოს სატრანსპორტო საშუალება, ან დაუშვას, რომ მართოს სატრანსპორტო საშუალება ინტოქსიკაციის, ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის ან/და გაბრუნების მდგომარეობაში;

6.1.9 იჯარის ვადის გასვლისთანავე ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული პირობებით დაუბრუნოს იჯარის საგანი მეიჯარეს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც მიიღო იგი, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

6.1.10 კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

6.1.11 მოიჯარე არ არის უფლებამოსილი მართვის უფლებით გადასცეს იჯარის საგანი მესამე პირებს, მათ შორის 21 წლამდე ასაკის პირებს (ასევე არასრულწლოვანებს), ასევე პირებს ვისაც არ გააჩნია ან ჩამორთმეული აქვს მართვის მოწმობა ან კანონით აკრძალული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვა.

6.2 მოიჯარე უფლებამოსილია:

6.2.1 მოითხოვოს მეიჯარისაგან ხელშეკრულების პირობების და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეების პასუხისმგებლობა განისაზღვრება ერთმანეთისადმი მიყენებული ზარალის მოცულობიდან გამომდინარე.

7.3. ვალდებულებათა არასათანადო შესრულებით გამოწვეული პირგსამატეხლოს, ჯარიმის და საურავის და მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4 ყველა უთანხმოება მხარეთა შორის უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა განიხლება სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით;

8.2. ხელშეკრულება შეიძლება დაუყონებლივ შეწყვეტილ იქნეს ერთ-ერთი მხარის მიერ, თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადით**.

9.2. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია **მხარეთა** მიერ.

9.3. **მხარეებმა** ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეული წერილით, ფაქსით, ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ.

9.4. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში, **მხარეები** სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

9.5. სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება **მეიჯარესთან**, ხოლო მეორე –**მოიჯარესთან**.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შენიშვნა: ხელშეკრულების პირობები დაზუსტდება მისი გაფორმების დროს.